MES 5 23 0001434995

25/10/2023

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების“ მე-18 მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2023 წლის 12 ოქტომბერს 14:00 საათზე**. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Time: Oct 12, 2023 02:00 PM Tbilisi
Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/86591753425?pwd=QjNIS2I3VFYyNFRjV0dpWklpTmNOUT09
Meeting ID: 865 9175 3425
Passcode: 886294

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:
ნინო ბაბალაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის დირექტორი (საბჭოს თავმჯდომარე);
გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საბჭოს წევრი);
მარიამ ქუჩულორია - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
თეა გულუა - გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, ცოდნის მართვის და ინოვაციების სპეციალისტი (საბჭოს წევრი);
მარიკა ზაქარეიშვილი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის - ,,კერძო სექტორის ჩართულობა პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემაში სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი (საბჭოს მდივანი);

ნათია კვიციანი - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პროგრამების ადგილობრივი კოორდინატორი (საბჭოს წევრი);
სალომე სანაია - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერი (საბჭოს წევრი);
მარიამ შოთაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის კოლეჯების კოორდინაციის სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
სალომე ქუთათელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
ნონა საათაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
სოფიკო ბექირაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

დაწესებულების წარმომადგენელი:
სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯი
ზურაბ ოშხნელი - დირექტორი
ლანა გაჩეჩილაძე - ხარისხის მართვის მენეჯერი
თამარ კაციტაძე - სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი მედიისა და ინოვაციების სამსახურის უფროსი
ალექსანდრე ჩადუნელი - სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის ტექნიკური დირექტორის მოადგილე
ვახტანგ ალანია - შპს კიკალა სტუდიოს გენერალური დირექტორი

ა(ა)იპ საქართველოს დიაბეტის ფონდი
ნუნუ ბიკაშვილი - „ჯანსაღი (სწორი) კვების კურსი“ პროფესიული მომზადების პროგრამის ხელმძღვანელი

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დარგის ექსპერტები:
ბადრი სიფრაშვილი
იგორ ზოლოტარევი
მამუკა ხელაშვილი
თინათინ ოსეფაშვილი
ბელა ყურაშვილი

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:05 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი,

,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით, შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით არ იყო.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:

1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის „განათების ტექნიკოსი“ /01753/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

2. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის „ხმის ოპერატორი“ /01756/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

3. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის „სარეკლამო ფოტოგრაფია“ /01757/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

4. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის „კონტენტის შემქმნელი“ /01755/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

5. ა(ა)იპ საქართველოს დიაბეტის ფონდის „ჯანსაღი (სწორი) კვების კურსი“ /01705/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს სხდომა წარიმართა დღის წესრიგის მიხედვით

1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის „განათების ტექნიკოსი“ /01753/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა სალომე ქუთათელაძემ, მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 21 სექტემბრის №1208646 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, სალომე ქუთათელაძემ და დარგის ექსპერტმა, ბადრი სიფრაშვილმა განახორციელეს ვიზიტი, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯში (შემდგომში - კოლეჯი) პროგრამის განხორციელების ადგილზე, ქ.თბილისში, დ. უზანაძის ქუჩა №68. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა, პროფესიული მომზადების პროგრამის „განათების ტექნიკოსი“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.
ვიზიტისას გადამოწმდა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსი. მოხდა გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთთან. ვიზიტი წარიმართა კოლეგიალურ და თანამშრომლობით გარემოში.
დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირდა, რეკომენდაციები არ გაცემულა.
სალომე ქუთათელაძემ პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა - მეოთხე; პროგრამის ხანგრძლივობა - 24 კვირა; სწავლების ენა - ქართული; მსმენელთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა - 15; პროგრამის განხორციელების ადგილი - თბილისი, დ. უზნაძის ქ. 68.
კოლეჯმა განაცხადთან ერთად წარმოადგინა დოკუმენტი ,,პროფესიული მომზადების პროგრამების საჭიროების დასაბუთება'', სადაც წარმოდგენილია სხვადასხვა უწყებების კვლევები. საზოგადოებრივი მაუწყებლისა და კოლეჯის ხელმძღვანელი პირების 2022 წლის ნოემბრის შეხვედრაზე, გამოიკვეთა საზოგადოებრივ მაუწყებელში კვალიფიციური კონტენტ კრეატორების, ხმის ოპერატორებისა და განათების ტექნიკოსების საჭიროება. გამოკითხვამ აჩვენა, რომ იგივე მდგომარეობაა სხვა სატელევიზიო და კინო კომპანიებში. დადგინდა, რომ ფორმალური განათლების ვიწრო სპეციალიზაციებში არ არსებობენ ხმის ოპერატორის და განათების ტექნიკოსის სპეციალისტები; ამიტომ, დაინტერესებული პირები მსგავს კომპეტენციებს ძირითადად იღებენ არაფორმალურად - საწარმოო თვითგანვითარებით. ამ ფაქტს ადასტურებს საზოგადოებრივ მაუწყებელში თვითნასწავლი ადამიანებით დეფიციტის შევსების ტენდენცია. არანაკლებ აქტუალურია ქართული სარეკლამო ბაზრისთვის ფართე პროფილის ,,სარეკლამო ფოტოგრაფების'' მომზადებაც, რომლებსაც უნდა შეეძლოთ ფოტოხელოვნების განსაკუთრებული უნარების ფლობა. სხვადასხვა უწყებების მიერ ჩატარებული კვლევების საფუძველზე წარმოდგენილი გარემოებები ერთმნიშვნელოვნად ასაბუთებს თანამედროვე შრომის ბაზრისთვის ზემოაღნიშნული პროგრამით პროფესიონალი კადრების მომზადების საჭიროებას.
პროგრამის მიზანთან დაკავშირებით სალომე ქუთათელაძემ განაცხადა, რომ მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროგრამის მიზანია პირის მომზადება, რომელიც სატელევიზიო გადაცემის (შოუს) განათებიდან გამომდინარე, ინჟინრებთან ერთად კოორდინირებას უწევს განათების აპარატურის მონტაჟს როგორც სტუდიაში, ისე გარე ლოკაციაზე. მონტაჟის შემდეგ, სასცენარო მონახაზის მიხედვით ახდენს განათების წყაროების მოქმედების შეტანას მართვის პულტში, პროექტის შექმნას და ჩაწერას. გადაცემის (შოუს) მსვლელობისას, მართვის პულტით უზრუნველყოფს ლოკაციის განათებას და სპეცეფექტების (პიროტექნიკა, ბოლი) გამოყენებას მის მიერ წინასწარ შექმნილი პროექტების გამოყენებით.
წარმოდგენილ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია: სრული ზოგადი განათლება; აპლიკანტთა შერჩევის ფორმა: გასაუბრება- პროფესიის მოსინჯვის მეთოდით.
პროფესიული მომზადების პროგრამა წარმოდგენილია 6 სწავლის შედეგით, სწავლის შედეგები გაწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, უნარით ან/და კომპეტენციით.
პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია, კერძოდ პროფესიული მომზადების

პროგრამის ხანგრძლივობა 24 კვირაა, რომელიც მოიცავს 160 საკონტაქტო საათს. პროგრამა მოიცავს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტს. პრაქტიკული სამუშაოები ჩატარდება კოლეჯშიც, ხოლო მე-9 კვირიდან პარტნიორ ორგანიზაცია სსიპ საზოგადოებრივ მაუწყებელში. მაუწყებელში სასწავლო ექსკურსიები დაგეგმილია პროგრამის მე-5 და მე-6 კვირას.

დაწესებულებას ყავს პარტნიორი ორგანიზაცია სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებელი, რომელთანაც გაფორმებული აქვს თანამშრომლობის ხელშეკრულება.

პარტნიორმა ორგანიზაციამ ხელშეკრულებაში განსაზღვრული პირობების თანახმად უნდა უზრუნველყოს პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება, მსმენელებს ექნებათ წვდომა ტექნიკასა და მოწყობილობებზე, გაეცნობიან ობიექტებზე სავალდებულო წესებს და სტანდარტებს, ასევე, კურსდამთავრებულებს მიაწოდებს ინფორმაციას სტაჟირების ან/და ვაკანსიის არსებობის შესახებ. მაუწყებელი პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფს ერთდროულად 15 მსმენელის მიღებას ანაზღაურების გარეშე, მის ფაქტობრივ მისამართზე.

ვიზიტის დროს მოხდა პარტნიორი ორგანიზაციის დათვალიერება. ადგილზე არსებული მატერიალური რესურსი, ადამიანური რესურსი და შექმნილი გარემო პირობები ნამდვილად ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას.

სალომე ქუთათელაძემ ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით. პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 4 განმახორციელებელი პირი. პროგრამის განმახორციელებელ პირთა ცოდნა, უნარები და კვალიფიკაცია დადასტურებულია შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაციით, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. ვიზიტის დროს განხორციელდა გასაუბრება პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, რითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა მათი კვალიფიციურობა დარგის მიმართულებით.

სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისათვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე, დაწესებულებას მომზადების პროგრამის სწავლებისთვის განსაზღვრული აქვს უცხო ენოვანი 4 სასწავლო ლიტერატურა. როგორც დაწესებულების წარმომადგენელთან და პროგრამის განმახორციელებლებთან გასაუბრებით გაიკვა, ამ დარგის მიმართულებით ქართულ ენოვანი სახელმძღვანელოები თითქმის არ არსებობს, ამიტომ, განმახორციელებელ პირებს აქვთ მომზადებული პრეზენტაციები, ჰენდაუთები, პროგრამისთვის საჭირო სასწავლო ლიტერატურა ნათარგმნი ქართულ ენაზე, ასევე, აქვთ ინტერნეტ რესურსის ელექტრონული ვერსიები. კოლეჯს აქვს სივრცე ბიბლიოთეკისთვის, სადაც სურვილის შემთხვევაში მსმენელები შეძლებენ ისარგებლონ სასწავლო ლიტერატურით, როგორც მატერიალური ასევე, ელექტრონული სახით.

პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, კოლეჯში არის ორი A და ორი B სასწავლო გარემო, რომელიც უზრუნველყოფილია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ინვენტარით, სადაც შესაძლებელია როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კომპონენტის ჩატარება, ასევე კოლეჯში არის სიმულაციური ორი სტუდია პრაქტიკის მიზნებისთვის.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით.

მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით - პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამის მსმენელის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი'', სადაც გაწერილია, რომ პროგრამის მსმენელთა შეფასების მიზნებისათვის გამოიყენება კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება, რაც გულისხმობს შესაფასებელი პირის მიერ ცოდნის ფლობისა და უნარების გამოყენების შესაძლებლობის

(კომპეტენციის) შეფასებას, შეფასების ინსტრუმენტით განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით.
სალომე ქუთათელაძემ აღნიშნა, რომ კოლეჯმა წარმოადგინა დირექტორის მიერ ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი - ,,პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მსმენელთა შერჩევის და ჩარიცხვის წესი'', სადაც გაწერილია პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაციის გამოცხადება, მსმენელის შერჩევის პროცედურები და მსმენელის სტატუსის მოპოვება/შეწყვეტა. აპლიკანტთა ჩარიცხვა მოხდება გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა და აპლიკანტის მიერ მიღებული ქულის/ქულების გათვალისწინებით მიღებულ ქულათა რანჟირების საფუძველზე; თუ ორ ან ორზე მეტ აპლიკანტს აქვს ერთნაირი ქულები უპირატესობა მიენიჭება იმ აპლიკანტს, რომელიც შემოქმედებით კომპონენტში მიიღებს უფრო მაღალ შეფასებას. შემოქმედებით ტურზე გადასვლის წინაპირობაა კომპიუტერული უნარის დადასტურება.
საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით ,,ხარისხის მართვის ინსტრუქცია'', რომელიც შემუშავებულია სწავლა -სწავლების პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით კოლეჯში ხარისხის მართვის მენეჯერი მოქმედებს დემინგის ციკლის გამოყენებით (დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება, კონტროლი). პროფესიული პროგრამების/პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების და მისი ადმინისტრირების შესაფასებლად, თვისებრივი მონაცემების შეგროვების მიზნით, გამოიყენება ფოკუსჯგუფი, ამისათვის კოლეჯს შემუშავებული აქვს და წარმოდგენილი სპეციალური კითხვარი.
სალომე ქუთათელაძემ ასევე მოკლედ ისაუბრა კოლეჯის ისტორიასთან დაკავშირებით და დასძინა, რომ კოლეჯს მრავალწლიანი ისტორია აქვს: 1989 წელს დოკუმენტური და სამეცნიერო ფილმების ავტორ – ოპერატორის ზურაბ ოშხნელის ინიციატივით შექმნილმა საყმაწვილო-სატელევიზიო სტუდიამ სათავე დაუდო საქართველოში ფორმალურ პროფესიულ განათლებას ფოტოგრაფიაში, მედიასა და სატელევიზიო ხელოვნებაში. 2018 წლის 6 მარტის საქართველოს მთავრობის 110 დადგენილებით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სატელევიზიო სასწავლო ცენტრის ინტელექტუალურ და ტექნიკურ ბაზაზე შეიქმნა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების საზოგადოებრივი კოლეჯი, რომელიც ახორციელებს მეოთხე და მეხუთე დონის შვიდ პროფესიულ პროგრამას.
კოლეჯი გაწეული საგანმანათლებლო სერვისების შესახებ საზოგადოების სანდო და უტყუარ ინფორმირებას ახდენს კოლეჯის ვებგვერდის და სოციალური ქსელის, ოფიციალურ Facebook გვერდის მეშვეობით. კოლეჯი ყოველწლიურად აქტიურად მართავს ღია კარის დღეებს და ასევე, სხვადასხვა სკოლებში გასვლით პროფორიენტაციულ ღონისძიებებს.
სსიპ კოლეჯის რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში tvet.emis.ge ასახავს ინფორმაციას პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების, მათი განმახორციელებელი პირების და მსმენელების/კურსდამთავრებულთა შესახებ.
დაწესებულება თანამშრომლობს მის საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან, ახორციელებს დროულ ანგარიშგებას და ინფორმაციის მიწოდებას.
გასცემს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად მომზადებულ კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს. სერტიფიკატის ფორმა და ენობრივი სისწორე შეთანხმებულია სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან.

ვიზიტის დროს გადამოწმდა ელ. სისტემა, სადაც ატვირთულია სერტიფიკატი დანართთან ერთად, ასევე, გადამოწმდა სერტიფიკატების აღრიცხვის ჟურნალი. სერტიფიკატის აღრიცხვა ხორციელდება სარეგისტრაციო ჟურნალში, რომელიც ხელმოწერილია უფლებამოსილი პირის მიერ და დამოწმებულია დაწესებულების ბეჭდით.
სალომე ქუთათელაძემ პრეზენტაციის ბოლოს წარმოადგინა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.
საბჭოს თავმჯდომარე ნინო ბაბალაშვილი დაინტერესდა, ახორციელებდა თუ არა ამ პროგრამებს დაწესებულება ადრე, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა ლანა გაჩეჩილაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულება ადრე ახორციელებდა შემდეგ პროფესიული მომზადების პროგრამებს - ვიდეო მემონტაჟე, ტელევიზიის წამყვანი, ფოტოგრაფიის პრაქტიკული კურსი, ფოტორედაქტირება. მან დასძინა, რომ წარმოდგენილი პროგრამები შინაარსობრივად განსხვავებულია, შემუშავდა USAD-ის პროექტის ფარგლებში.
შემდეგ ისაუბრა დაწესებულების დირექტორმა ზურაბ ოშხნელმა. მან განაცხადა, რომ თანამედროვე სივრცეში ახალი კვალიფიკაციები შემოდის, ხშირ შემთხვევაში არ არსებობს ორგანიზაცია, რომელიც შეძლებდა ამ მოთხოვნების დაკმაყოფილებას, სწორედ ეს არის წარმოების მოთხოვნა, დიდი ხანია მიდის ლაპარაკი, რომ ხმის ოპერატორები და გამნათებლები არ არსებობენ, ისეთი პირები, რომლებსაც ექნებოდათ კვალიფიკაცია, უფრო მძიმე მდგომარეობაა კინო ინდუსტრიაში, ამიტომ ბუნებრივია, რომ ასეთი კვალიფიკაციები უნდა შემოვიდეს ფორმალური განათლების სფეროში. საზოგადოებრივ მაუწყებელში, ადეკვატური ხელმძღვანელობაა, რომელიც აყენებს სრულიად რელევანტურ საკითხებს და სწორედ აქედან წამოვიდა ეს საჭიროება, შესაბამისად დაწესებულების მოვალეობაა, რომ მოემსახუროს დარგს და აღუზარდოს კომპეტენტური სპეციალისტები.
მან დასძინა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი არის კომპეტენტური, დახვეწილი ტელევიზია, რომელმაც დაწესებულებას დაუთმო საეთერო დრო, ცამეტი წლის განმავლობაში კვირაში ერთხელ, დაწესებულებამ იფიქრა ამ საკითხზე, თუ როგორ მოგვარებულიყო ბაზარზე ეს დეფიციტი. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ USAD-მა პოზიტიურად შეაფასა დაწესებულებასთან ურთიერთობა, შესთავაზა დაწესებულებას თანამშრომლობა საგრანტო პროექტის ფარგლებში და შემუშავდა წარმოდგენილი პროგრამები. დაწესებულებას დაგეგმილი აქვს სხვა ტელეკომპანიებისთვისაც ამ პროგრამების შეთავაზება. მან დასძინა, რომ მნიშვნელოვანია გაკეთდეს მე-4 დონის პროგრამები, ინტეგრირებული, შესაბამისად იქნება ძალიან კარგი საპილოტე პროგრამები, რა თქმა უნდა დარჩება მოკლევადიანებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ძალიან სასიამოვნოა ასეთი პარტნიორული თანამშრომლობა, თვითონ პროგრამებს რაც შეეხება, რა თქმა უნდა გაეცნენ საბჭოს წევრები და თვითონაც დადებითად განეწყო, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ არ არის კომპეტენტური, მიაჩნია, რომ ძალიან მომხიბვლელი და საჭირო პროგრამებია და კიდევ ერთხელ წარმატებები უსურვა დაწესებულებას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დამსწრე საზოგადოებას, რომ ვინაიდან შემდეგი სამი განაცხადიც ამავე დაწესებულების იყო, განეხილათ დანარჩენი სამი საკითხის პრეზენტაცია და საბჭო ამის შემდეგ მიიღებდა გადაწყვეტილებას.
შემდეგი საკითხების განხილვამდე საბჭოს წევრმა მარიკა ზაქარეიშვილმა განაცხადა, რომ აღნიშვნის ღირსია კოლეჯის საქმიანობა, წარმოუდგენელია 90-იან წლებში შექმნა და ამ ეტაპზე მისვლა, დასძინა, რომ, როგორც დარგი, ხელოვნება ძალიან მომხიბლავია და მიესალმება ხელოვნების დარგის განვითარებას, მითუმეტეს, თუ დანახული იქნა ასეთი პროგრამების საჭიროება და მადლობა იმათ, ვინც ჩართული იყო ამ პროცესში.

2. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის „ხმის ოპერატორი“ /01756/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა სალომე ქუთათელაძემ, მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 21 სექტემბრის №1208608 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, სალომე ქუთათელაძემ და დარგის ექსპერტმა, იგორ ზოლოტარევმა განახორციელეს ვიზიტი, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯში (შემდგომში - კოლეჯი) პროგრამის განხორციელების ადგილზე, ქ.თბილისში, დ.უზნაძის ქუჩა №68. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა, პროფესიული მომზადების პროგრამის „ხმის ოპერატორი“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

ვიზიტისას გადამოწმდა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსი. მოხდა გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთთან. ვიზიტი წარიმართა კოლეგიალურ და თანამშრომლობით გარემოში.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირდა, რეკომენდაციები არ გაცემულა.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით სალომე ქუთათელაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეოთხე; პროგრამის ხანგრძლივობა - 24 კვირა; სწავლების ენა - ქართული; მსმენელთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა - 15; პროგრამის განხორციელების ადგილი - თბილისი, დ. უზნაძის ქ. 68

სალომე ქუთათელაძემ აღნიშნა, რომ მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროგრამის მიზანია, პირის მომზადება, რომელიც განახორციელებს ცოცხალი ხმის და მუსიკალური ინსტრუმენტების ჩაწერას და პასუხისმგებელია როგორც ორიგინალ ჩანაწერზე, ისე მისი დამონტაჟებული ან/და მიქსირებული ვერსიის ხარისხზე. საჭიროების შემთხვევაში ხმის ოპერატორს შეეძლება ნაწილობრივ შეასრულოს ხმის ტექნიკოსის და ხმის რეჟისორის ისეთი მარტივი ფუნქციები, როგორებიცაა მიკროფონის კაბელების და შტეკერების შემოწმება და აღდგენა, მუსიკალური ინსტრუმენტების და ცოცხალი ხმების მიქსირება და ა.შ. პროგრამა მსმენელებს მისცემს არა მხოლოდ ცოდნას, არამედ დასაქმების რეალურ შანსს ტელე-რადიო კომპანიებში და კინოინდუსტრიაში.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია სრული ზოგადი განათლება; აპლიკანტთა შერჩევის ფორმა: გასაუბრება - პროფესიის მოსინჯვის მეთოდით. დამატებითი მოთხოვნები: კომპიუტერის ფლობა სამომხმარებლო დონეზე; სასურველია მუსიკალური განათლება.

პროფესიული მომზადების პროგრამა წარმოდგენილია 6 სწავლის შედეგით, პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით. პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია, პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობა 24 კვირაა, რომელიც მოიცავს 144 საკონტაქტო საათს. დაწესებულებას ყავს პარტნიორი ორგანიზაცია სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებელი, რომელთანაც გაფორმებული აქვს თანამშრომლობის ხელშეკრულება. პარტნიორმა ორგანიზაციამ ხელშეკრულებაში განსაზღვრული პირობების თანახმად უნდა უზრუნველყოს პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება. მსმენელებს ექნებათ წვდომა ტექნიკასა და მოწყობილობებზე, გაეცნობიან ობიექტებზე სავალდებულო წესებს და სტანდარტებს, ასევე, კურსდამთავრებულებს მიაწოდებს ინფორმაციას სტაჟირების ან/და ვაკანსიის არსებობის შესახებ. მაუწყებელი პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფს ერთდროულად 15 მსმენელის მიღებას ანაზღაურების

გარეშე, მის ფაქტობრივ მისამართზე. ვიზიტის დროს მოხდა პარტნიორი ორგანიზაციის დათვალიერება. ადგილზე არსებული მატერიალური რესურსი, ადამიანური რესურსი და შექმნილი გარემო პირობები ნამდვილად ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას.
პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება ოთხი განმახორციელებელი პირი. პროგრამის განმახორციელებელ პირთა ცოდნა, უნარები და კვალიფიკაცია დადასტურებულია შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაციით, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.
ვიზიტის დროს განხორციელდა გასაუბრება პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, რითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა მათი კვალიფიციურობა დარგის მიმართულებით.
სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისათვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე. დაწესებულებას აღნიშნული პროგრამის სწავლებისთვის განსაზღვრული აქვს უცხო ენოვანი 4 სასწავლო ლიტერატურა, თუმცა განმახორციელებელ პირებს აქვთ მომზადებული პრეზენტაციები, ჰენდაუთები, პროგრამისთვის საჭირო სასწავლო ლიტერატურა ნათარგმნი ქართულ ენაზე, ასევე, აქვთ ინტერნეტ რესურსის ელექტრონული ვერსიები.
პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, კოლეჯში არის ორი A და ორი B სასწავლო გარემო, რომელიც უზრუნველყოფილია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ინვენტარით, სადაც შესაძლებელია როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კომპონენტის ჩატარება, ასევე კოლეჯში არის სიმულაციური ორი სტუდია პრაქტიკის მიზნებისთვის. ამდენად, კოლეჯს აქვს შესაძლებლობა ერთდროულად მიიღოს 15 მსმენელი და შესთავაზოს მაღალი დონის პრაქტიკული თუ თეორიული უნარების შეძენა.
სალომე ქუთათელაძემ პრეზენტაციის ბოლოს წარმოადგინა ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

3. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის „სარეკლამო ფოტოგრაფია“ /01757/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა სალომე ქუთათელაძემ, მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 21 სექტემბრის №1208604 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, სალომე ქუთათელაძემ და დარგის ექსპერტმა, მამუკა ხელაშვილმა განახორციელეს ვიზიტი, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯში (შემდგომში - კოლეჯი) პროგრამის განხორციელების ადგილზე, ქ.თბილისში, დ. უზანაძის ქუჩა №68. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა, პროფესიული მომზადების პროგრამის „სარეკლამო ფოტოგრაფია“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.
ვიზიტისას გადამოწმდა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსი. მოხდა გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენლებთან

და პროგრამის განმახორციელებელ პირებთთან. ვიზიტი წარიმართა კოლეგიალურ და თანამშრომლობით გარემოში.
დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირდა, რეკომენდაციები არ გაცემულა.
სალომე ქუთათელაძემ ისაუბრა პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა - მეოთხე; პროგრამის ხანგრძლივობა - 24 კვირა; სწავლების ენა - ქართული; მსმენელთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა - 15; პროგრამის განხორციელების ადგილი - თბილისი, დ. უზნაძის ქ. 68.
მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროგრამის მიზანია, პირის მომზადება, რომელიც განახორციელებს სარეკლამო ჟანრული ფოტოსურათების გადაღებას სტუდიაში, ინტერიერსა და ექსტერიერში და მის დამუშავებას ფოტორედაქტორ პროგრამებში სასაქონლო ფორმის მისაცემად. კურსდამთავრებულს შეეძლება სარეკლამო ფოტოპროექტის მომზადება და მართვა, თვითრეკლამირება და დამკვეთთან მუშაობა.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია: სრული ზოგადი განათლება; აპლიკანტთა შერჩევის ფორმა: გასაუბრება - პროფესიის მოსინჯვის მეთოდით. დამატებითი მოთხოვნები: კომპიუტერის სამომხმარებლო და ფოტოკამერის სამოყვარულო დონეზე ფლობა
პროფესიული მომზადების პროგრამა წარმოდგენილია 6 სწავლის შედეგით, სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით.
პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია, პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობა 24 კვირაა, რომელიც მოიცავს 162 საკონტაქტო საათს. პროგრამა მოიცავს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტს.
პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, დაწესებულებას ყავს პარტნიორი ორგანიზაცია შპს ,,კიკალა სტუდიო'', რომელთანაც გაფორმებული აქვს თანამშრომლობის ხელშეკრულება. პარტნიორმა ორგანიზაციამ ხელშეკრულებაში განსაზღვრული პირობების თანახმად უნდა უზრუნველყოს პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება. პრაქტიკის ობიექტი უზრუნველყოფს მსმენელებს კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებლებით, ასევე ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულთა დასაქმებას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მსმენელებს ექნებათ წვდომა ტექნიკასა და მოწყობილობებზე, გაეცნობიან ობიექტებზე სავალდებულო წესებს და სტანდარტებს. პრაქტიკის ობიექტი პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფს ერთდროულად 15 მსმენელის მიღებას. ვიზიტის დროს მოხდა პარტნიორი ორგანიზაციის დათვალიერება. ადგილზე არსებული მატერიალური რესურსი, ადამიანური რესურსი და შექმნილი გარემო პირობები ნამდვილად ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას.
პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით, პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 4 განმახორციელებელი პირი. პროგრამის განმახორციელებელ პირთა ცოდნა, უნარები და კვალიფიკაცია დადასტურებულია შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაციით, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. ვიზიტის დროს განხორციელდა გასაუბრება პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, რითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა მათი კვალიფიციურობა დარგის მიმართულებით.
სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისათვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე, დაწესებულებას მომზადების პროგრამის სწავლებისთვის განსაზღვრული აქვს უცხო ენოვანი 9 სასწავლო ლიტერატურა და თემატიკის შესაბამისი პრეზენტაციები. როგორც დაწესებულების წარმომადგენელთან და პროგრამის განმახორციელებლებთან გასაუბრებით გაიკვა, ამ დარგის მიმართულებით ქართულ ენოვანი სახელმძღვანელოები თითქმის არ არსებობს, ამიტომ, განმახორციელებელ პირებს აქვთ მომზადებული პრეზენტაციები, ჰენდაუთები, პროგრამისთვის საჭირო სასწავლო ლიტერატურა ნათარგმნი ქართულ ენაზე, ასევე, აქვთ ინტერნეტ რესურსის ელექტრონული ვერსიები.

პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, კოლეჯში არის ორი A და ორი B სასწავლო გარემო, რომელიც უზრუნველყოფილია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ინვენტარით, სადაც შესაძლებელია როგორც თეორიული ლექციების, ასევე პრაქტიკული სამუშაოების ჩატარება, ასევე კოლეჯში არის სიმულაციური ორი სტუდია პრაქტიკის მიზნებისთვის. პროგრამის სწავლება განხორციელდება დღის მე-2 ნახევარში საღამოს 5-6 საათებში, პროგრამის უმეტესი ნაწილის სწავლება განხორციელდება პარტნიორ ორგანიზაციაში. ამდენად, კოლეჯს აქვს შესაძლებლობა ერთდროულად მიიღოს 15 მსმენელი და შესთავაზოს მაღალი დონის პრაქტიკული თუ თეორიული უნარების შეძენა.
სალომე ქუთათელაძემ პრეზენტაციის ბოლოს წარმოადგინა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

4. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის „კონტენტის შემქმნელი“ /01755/- პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა სალომე ქუთათელაძემ, მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 21 სექტემბრის №1208606 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, სალომე ქუთათელაძემ და დარგის ექსპერტმა, თინათინ ოსეფაშვილი განახორციელეს ვიზიტი, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯში (შემდგომში - კოლეჯი) პროგრამის განხორციელების ადგილზე, ქ. თბილისში, დ. უზნაძის ქუჩა №68. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა, პროფესიული მომზადების პროგრამის „კონტენტის შემქმნელი“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.
ვიზიტისას გადამოწმდა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსი. მოხდა გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან. ვიზიტი წარიმართა კოლეგიალურ და თანამშრომლობით გარემოში.
დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირდა, რეკომენდაციები არ გაცემულა.
პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით სალომე ქუთათელაძემ განაცხადა, რომ აღნიოშნული პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა - მეოთხე; პროგრამის ხანგრძლივობა - 24 კვირა; სწავლების ენა - ქართული; მსმენელთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა - 15; პროგრამის განხორციელების ადგილი - თბილისი, დ. უზნაძის ქ. 68
მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან, პროგრამის მიზანია, პირის მომზადება, რომელსაც ექნება შესაბამისი ცოდნა და უნარები, რათა შეძლოს ციფრული მედიისთვის განკუთვნილი კონტენტის შექმნა, სწორი გავრცელება და ანალიზი სხვადასხვა სოციალურ ქსელში კომპანიის მარკეტინგულ, ვიზუალურ კონცეფციასა და სტრატეგიაზე დაყრდნობით. იგი ორიენტირებულია კონტენტის შექმნაზე. მისი როლი განსაკუთრებით მნიშნელოვანია კომპანიის აუდიტორიის ზრდისა და ცნობადობის გაუმჯობესების მიმართულებით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია: სრული ზოგადი განათლება; აპლიკანტთა შერჩევის ფორმა: გასაუბრება - პროფესიის მოსინჯვის მეთოდით.
პროფესიული მომზადების პროგრამა წარმოდგენილია 5 სწავლის შედეგით, პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით. პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია, პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობა 24 კვირაა, რომელიც მოიცავს 148 საკონტაქტო საათს. პროგრამა მოიცავს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ საკითხებს.
  პროგრამის განმავლობაში მსმენელები გაეცნობიან ალგორითმის მუშაობის პრინციპებს, ხელსაწყოებს, რომელიც კონტენტის დასამუშავებლადაა საჭირო. მსმენელები შეისწავლიან, როგორ შეარჩიონ სოციალური მედიის სხვადასხვა პლატფორმისთვის მიმზიდველი ტექსტი, მუსიკა. შეძლებენ კონტენტის გადაღება/დამუშავებას, ამბის საინტერესოდ თხრობას და სამიზნე აუდიტორიის მოკლე დროში გაზრდას.
პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას,დაწესებულებას ყავს პარტნიორი ორგანიზაცია სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებელი, რომელთანაც გაფორმებული აქვს თანამშრომლობის ხელშეკრულება. ვიზიტის დროს მოხდა პარტნიორი ორგანიზაციის დათვალიერება. ადგილზე არსებული მატერიალური რესურსი, ადამიანური რესურსი და შექმნილი გარემო პირობები ნამდვილად ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას.
პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით, პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 6 განმახორციელებელი პირი. პროგრამის განმახორციელებელ პირთა ცოდნა, უნარები და კვალიფიკაცია დადასტურებულია შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაციით, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. ვიზიტის დროს განხორციელდა გასაუბრება პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, რითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა მათი კვალიფიციურობა დარგის მიმართულებით.
სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისათვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე, დაწესებულებას მომზადების პროგრამის სწავლებისთვის განსაზღვრული აქვს უცხო ენოვანი სასწავლო ლიტერატურა და თემატიკის შესაბამისი პრეზენტაციები. როგორც დაწესებულების წარმომადგენელთან და პროგრამის განმახორციელებლებთან გასაუბრებით გაიკვა, ამ დარგის მიმართულებით ქართულ ენოვანი სახელმძღვანელოები თითქმის არ არსებობს, ამიტომ, განმახორციელებელ პირებს აქვთ მომზადებული პრეზენტაციები, ჰენდაუთები, პროგრამისთვის საჭირო სასწავლო ლიტერატურა ნათარგმნი ქართულ ენაზე, ასევე, აქვთ ინტერნეტ რესურსის ელექტრონული ვერსიები.
პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, კოლეჯში არის ორი A და ორი B სასწავლო გარემო, რომელიც უზრუნველყოფილია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ინვენტარით, სადაც შესაძლებელია როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კომპონენტის ჩატარება, ასევე კოლეჯში არის სიმულაციური ორი სტუდია პრაქტიკის მიზნებისთვის. ამდენად, კოლეჯს აქვს შესაძლებლობა ერთდროულად მიიღოს 15 მსმენელი და შესთავაზოს მაღალი დონის პრაქტიკული თუ თეორიული უნარების შეძენა.
სალომე ქუთათელაძემ პრეზენტაციის ბოლოს წარმოადგინა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.
შემდეგ მოკლედ ისაუბრეს დარგის ექსპერტებმაც და აღნიშნეს, რომ მისასალმებელია ასეთი პროგრამების განხორციელება.
კოლეჯის დირექტორმა დიდი მადლობა გადაუხადა საბჭოს, ცენტრს, ექსპერტებს და დასძინა, რომ აღნიშნული პროგრამები ხელს შეუწყობს ახალგაზრდების დასაქმებას.
პროფესიული განათლების ხარიხის უზრუნველყოფის სამსახური უფროსმა ნანი დალაქიშვილმა განაცხადა, რომ მიესალმება წარმოდგენილი პროგრამების დამატებას, ის შეეხო

დაწესებულების ისტორიასაც და განაცხადა, რომ 90-იანი წლებიდან მიმდინარეობდა კოლეჯის განვითარება, მისასალმებელია ის ფაქტი, რომ ბაზრის მოთხოვნებს ფეხს უწყობენ და ასევე, იმ მოთხოვნებს უწყობენ ხელს, რაც მედია სივრცეში კვალიფიციური სპეციალისტების დეფიციტს ეხება. მან წარმატება უსურვა კოლეჯს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის „განათების ტექნიკოსი“ /01753/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯს (ს/კ: 205355499) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - განათების ტექნიკოსი /01753/ **(დანართი 1)**.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის „ხმის ოპერატორი“ /01756/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯს (ს/კ: 205355499) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ხმის ოპერატორი /01756/ **(დანართი 2)**.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის „სარეკლამო ფოტოგრაფია“ /01757/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯს (ს/კ: 205355499) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - სარეკლამო ფოტოგრაფია /01757/ **(დანართი 3)**.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის „კონტენტის შემქმნელი“ /01755/- პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯს (ს/კ: 205355499) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - კონტენტის შემქმნელი /01755/ **(დანართი 4)**.

მეხუთე საკითხის განხილვამდე, ნანი დალაქიშვილი მიესალმა საბჭოს წევრებს, დარგის ექსპერტს და საქართველოს დიაბეტის ფონდის წარმომადგენელს და მოკლე შესავალი გააკეთა ამ განაცხადთან დაკავშირებით. მან განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროგრამა არის განსხვავებული მიზნის და შინაარსის. თუკი სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის მიერ წარმოდგენილ

პროგრამებზე ითქვა, რომ დასაქმებაზე არის ორიენტირებული და შრომის ბაზარი რა უნარებს ითხოვს კურსდამთავრებულებისგან, იმაზეა ორიენტირებული, აქ ცოტა განსხვავებული სიტუაციაა.
მაშინ როდესაც დიაბეტის ფონდის წარმომადგენლები ცენტრში იღებდნენ კონსულტაციას და შემდეგ წარმოებაში იქნა მიღებული ეს განაცხადი, ცენტრის გადმოსახედიდან, ეს იყო პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული პროგრამა, რასაც მთავრობის დადგენილება და სტანდარტები არ ეწინააღმდეგება (ქვესტანდარტი 1.1. პროგრამა უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმების / მეწარმეობის / პიროვნული განვითარების პერსპექტივებს); კონსულტირების პროცესი ხანგრძლივი იყო, იცვლებოდა საკონსულტაციო საკითხებიც, განაცხადის შემოტანის შემდეგ საბოლოოდ მოძიებულ და მოწვეულ იქნა დარგის ექსპერტი, რომელსაც რეკომენდაცია გაუწია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა. რა თქმა უნდა, საბჭოს გადასაწყვეტია, აღნიშნული განაცხადის განხილვის შემდეგ, მიენიჭება თუ არა განხორციელების უფლება ა(ა)იპ საქართველოს დიაბეტის ფონდის მიერ წარმოდგენილ პროგრამას „ჯანსაღი (სწორი) კვების კურსი“.

5. ა(ა)იპ საქართველოს დიაბეტის ფონდის „ჯანსაღი (სწორი) კვების კურსი“ /01701/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
აღნიშნული საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ბელა ყურაშვილმა და ცენტრის წარმომადგენელმა ნონა საათაშვილმა. პროგრამის პირველი სტანდარტზე ისაუბრა დარგის ექსპერტმა, ხომ მეორე და მესამე სტანდარტი წარმოადგინა ცენტრის წარმომადგენელმა. დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 1 სექტემბრის №1060896 ბრძანების საფუძველზე პროფესიული მომზადების პროგრამის მოწვეულმა დარგის ექსპერტმა ბელა ყურაშვილმა და ცენტრის წარმომადგენელმა ნონა საათაშვილმა 2023 წლის 12 სექტემბერს განახორციელეს ვიზიტი ა(ა)იპ საქართველოს დიაბეტის ფონდში ქ. თბილისში, პ. ქავთარაძის 1 შესახ. №2, სადაც განთავსებულია პროგრამის სასწავლო სივრცე.
ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მომზადების პროგრამის, „ჯანსაღი (სწორი) კვების კურსი“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება. ვიზიტის დროს ექსპერტისა და ცენტრის წარმომადგენლის მიერ განხორციელდა გასაუბრება ა(ა)იპ საქართველოს დიაბეტის ფონდის სამეცნიერო და სასწავლო პროგრამების პასუხისმგებელ პირთან ნუნუ ბიკაშვილთან, რომელიც ამავდროულად არის პროგრამის განმახორციელებელი. ასევე, გადამოწმდა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, სასწავლო რესურსი, A სასწავლო გარემო.
ვიზიტის დროს დაფიქსირდა ხარვეზები, კერძოდ,
ქვესტანდარტი 1.1 - წარმოდგენილი დოკუმენტით „პროგრამის განხორციელების საჭიროების დასაბუთება“ ვერ დასტურდება, არ იკვეთება, რომ პროგრამა უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმების/მეწარმეობის/პიროვნული განვითარების პერსპექტივებს, ვინაიდან წარმოდგენილი დოკუმენტი არის ზოგადი ხასიათის და მასში არ არის მოყვანილი ვალიდური კვლევები და ანალიზის დოკუმენტი.
ქვესტანდარტი 1.2 - პროგრამის სახელწოდებაში არის ტერმინოლოგიური უზუსტობა. კონკრეტულად ტერმინი ,,სწორი კვება“ არ შეესაბამება დარგში დამკვიდრებულ ტერმინოლოგიას.

ქვესტანდარტი 1.3 - პროგრამის მიზანი აბსტრაქტულია, მასში გამოყენებული ტერმინები შეუსაბამოა დარგში არსებულ ტერმინოლოგიასთან. დასახული მიზნის მიღწევა პროგრამის ხანგრძლივობის გათვალისწინებით - 5 კვირაში არადამაჯერებელია და ვერ უზრუნველყოფს მსმენელთა ცნობიერების ამაღლებას.

ქვესტანდარტი 1.4 - ამ პროგრამით განსაზღვრული სწავლების შედეგები მოითხოვს ცოდნას და უნარებს, რომელსაც უკვე უნდა ფლობდეს მსმენელი, წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები იყოს მიღწეული, შესაბამისად პროგრამაზე დაშვების წინაპირობა არაადეკვატურია.

ქვესტანდარტი 1.7 - პროგრამის ხანგრძლივობა - 5 კვირა და ჯამში 60 საათი (გათვალისწინებული საათებისა და კვირების რაოდენობა) ძალიან მცირეა და მისაღწევი ჩამოთვლილი სწავლის შედეგების არაადეკვატურია.

ასევე, გაიცა ორი რეკომენდაცია:

ქვესტანდარტი 1.6 - რეკომენდირებულია, რომ სწავლის შედეგებში გამოყენებული დარგის შესაბამისი ტერმინოლოგია დაზუსტდეს და დაიხვეწოს.

ქვესტანდარტი 1.8 - რეკომენდირებულია, პროგრამაში ჩანდეს ისტ ტექნოლოგიების გამოყენება და სასწავლო პროცესში ჩართვის საჭიროება, რათა მომავალმა კვების სპეციალისტმა მოახდინოს თანამედროვე მეთოდებით ადამიანის სხვადასხვა სახის კვების რაციონის განსაზღვრა და კალორაჟის გამოთვლა.

დარგის ექსპერტმა ისაუბრა პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა - მეოთხე; პროგრამის ხანგრძლივობა - 5 კვირა; სწავლების ენა - ქართული; მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 50; კვირეული დატვირთვა - 12 საათი; პროგრამის განხორციელების ადგილი - თბილისი, პეტრე ქავთარაძის I შესახვევი, № 2;

წარმოდგენილ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - პროგრამაზე დაიშვებიან მოსახლეობის ყველა ფენისა და ასაკის წარმომადგენლები, მსმენელები შეირჩევიან გასაუბრების შედეგად, მინიმუმ საშუალო განათლებით, მათი განათლების შესაბამისად, სხვადასხვა დონის ჯგუფებში ჩასარიცხად.

დარგის ექსპერტმა პროგრამის მიზანთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მიზანი აბსტრაქტულია, მასში გამოყენებული ტერმინები შეუსაბამოა დარგში არსებულ ტერმინოლოგიასთან. კონკრეტულად, რთულია ამ მიზნების მიღწევა პროგრამის ხანგრძლივობის გათვალისწინებით - 5 კვირაში არადამაჯერებელია მსმენელების ცნობიერების ამაღლება და ,,მათი პროვნული განვითარება“: ა. სომატური ჯანმრთელობით; ბ. მენტალური ჯანმრთელობით; გ. ჯანსაღი ცხოვრების წესით საუკეთესო მაგალითით გარშემო მყოფთათვის“;

პროგრამით განსაზღვრული შედეგების მიღწევას ესაჭიროება დარგის სიღრმისეული ცოდნა, შესაბამისი გამოცდილება და ზოგადად, პროფესიული მომზადების, თუ გადამზადების პროგრამების მიზანი უნდა იყოს მსმენელის მომზადება და გარკვეული პრაქტიკული უნარ-ჩვევებით აღჭურვა დასაქმების პერსპექტივით. ექსპერტის აზრით, მისი მიდგომაა, რომ,

„პროფესიული განათლება – განათლება, რომელიც უზრუნველყოფს პირისთვის იმ კომპეტენციის/კომპეტენციების გამომუშავებას, რომელსაც/რომლებსაც მოითხოვს კონკრეტული პროფესია ან/და შრომის ბაზარი და რომელიც/რომლებიც მიმართულია მთელი სიცოცხლის განმავლობაში პირის პროფესიული, სოციალური და პიროვნული განვითარებისკენ“, უნდა იყოსდაცული

ჯანდაცვისა და სოციალური კეთილდღეობის სფერო ადამიანის სიცოცხლეს უკავშირდება და მოითხოვს მაღალ პასუხისმგებლობას, ასევე დაუშვებელია მოსახლეობისათვის არაკვალიფიციური, არაპროფესიული ინფორმაციის მიწოდება ჯანმრთელობითი განათლების სფეროში. მოსახლეობის ჯანმრთელობითი განათლების ფუნქცია დაკისრებული აქვს სახელმწიფო სტრუქტურას - დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნულ ცენტრს, სადაც კვალიფიციური და შესაბამისი უმაღლესი განათლების პირები ქმნიან

და ავრცელებენ ინფორმაციას მოსახლეობისათვის სხვადასხვა ჯანმრთელობით პრობლემაზე, ხოლო თითოეულ ადამიანამდე ინფორმაციის მიწოდებაში მონაწილეობს სამედიცინო პერსონალი - ექიმები, ექთნები, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტები.
მოსახლეობისათვის მთლიანად და ავადმყოფებისათვის კვების რაციონის შემუშავება არის დიეტოლოგების ფუნქცია. მონიტორინგი საკვების ხარისხზე კვების ობიექტებზე, სასწავლო დაწესებულებებში და ა.შ. სურსათის უვნებლობის სამსახურების ფუნქციაა, სადაც საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და ვეტერინარიის სპეციალისტები არიან დასაქმებული.
წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამა, გვთავაზობს 5 კვირის განმავლობაში მოამზადოს (სკოლის პედაგოგები, ექიმები და მედპერსონალი, არაპროფესიული ტრენერები (ქოუჩების, მენტორების), კვების კონსულტანტები, საზოგადოების წევრები, ყოველი დაინტერესებული პირი), რაც არარელევანტურია. შესაბამისად, ქვესტანდარტი დარღვეულია.
წარმოდგენილ პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა: სრული ზოგადი განათლება, აპლიკანტთა შერჩევის ფორმა: გასაუბრება; ხოლო პროგრამის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ პროფესიული მომზადების პროგრამაზე დაიშვება ,,მოსახლეობის ყველა ფენისა და ასაკის წარმომადგენლები, მსმენელები შეირჩევიან გასაუბრების შედეგად, მინიმუმ საშუალო განათლებით, მათი განათლების შესაბამისად, სხვადასხა დონის ჯგუფებში ჩასარიცხად“.
ამ პროგრამით განსაზღვრული მიზნები და სწავლების შედეგები მოითხოვს ცოდნას და უნარებს, რომელსაც უკვე უნდა ფლობდეს მსმენელი, წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები იყოს მიღწეული, შესაბამისად დაშვების წინაპირობა არაადეკვატურია.
უნდა აღინიშნოს, რომ მომზადებული ე.წ. ინფორმირებული, სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენელი საზოგადოების წევრები (ჯანსაღ კვებაზე) არ შეიძლება იქნან დასაქმებული პროგრამაში მითითებულ შემდეგ სფეროებში: 091 - ჯანდაცვა (ვიწრო სფერო); 092 - სოციალური კეთილდღეობა (ვიწრო სფერო); 098 - ინტერდისციპლინური პროგრამები და კვალიფიკაციები, რომლებიც მოიცავენ ჯანდაცვასა და სოციალურ კეთილდღეობას (ვიწრო სფერო); 101 - პერსონალური მომსახურებები (ვიწრო სფერო); 102 - ჰიგიენა და პროფესიული ჯანმრთელობის მომსახურებები (ვიწრო სფერო); 108 - ინტერდისციპლინური პროგრამები და კვალიფიკაციები, რომლებიც მოიცავენ მომსახურებებს (ვიწრო სფერო), ვინაიდან, ასეთი ტიპის დასაქმებისათვის საჭიროა შესაბამისი კვალიფიკაცია და პროფილური განათლება, ხშირ შემთხვევაში სპეციალური ლიცენზიაც.
ერთის მხრივ, პროგრამა მიზნად ისახავს ჯანსაღი კვების ცოდნის სწავლებას და ცნობიერების დონის ამაღლებას, კვების სწორი ჩვევების დამკვიდრებას სრულიად მოსახლეობაში, მეორეს მხრივ, 5 კვირიანი კურსის გავლის შემდგომ კურსდამთავრებულები შეძლებენ მიღებული ცოდნის გავრცელებას ზოგადად საზოგადოებაში, ასევე, სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში - თუმცა, მათ არ ექნებათ არანაირი კომპეტენცია, ვერ იქნებიან პასუხისმგებელნი ინფორმაციის ხარისხზე და იმ შედეგებზე, რომელიც მოყვება მათ მიერ გავრცელებულ ინფორმაციას. ჯანდაცვა და განათლება არის ყველაზე მნიშვნელოვანი და მგრძნობიარე სფერო და დაუშვებელია ფუნქციათა დუბლირება, მითუმეტეს დაბალი კვალიფიკაციით.
წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგებია

1. საკვების რეალური დანიშნულების გაცნობიერება
2. კვებითი ღირებულებების და წყაროების განსაზღვრა;
3. საკვებ პროდუქტებში მარგი ნივთიერებებისა და მათი ფუნქციების განსაზღვრა;
4. კვების რეგულარული, შერეული და ბალანსირებული რაციონის განსაზღვრა და მისი დაგეგმვა სეზონური ნიუანსების გათვალისწინებით;
5. კვების თანამედროვე რაციონი და მისი დაგეგმვა;
6. ნებისმიერი რაციონის დაგეგმვა კალორაჟის გათვლით;
7. არასწორი კვების მიზეზების, მათი შედეგების გაცნობიერება;
8. არასწორ კვებასთან ბრძოლის სტრატეგიების შემუშავება;

9. წონის კორექციის რაციონის სწორად დაგეგმვა ასაკობრივ ჭრილში;
10. ფიზიკური დატვირთვის სწორი დაგეგმვა კვების რეგულირებით

დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება სპეციალური ტექნიკით აღჭურვილ სივრცეში, სადაც მინიმუმ 10 და მაქსიმუმ 50 მსმენელი შეძლებს პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებას. პროგრამის განხორციელებისას გათვალისწინებულია, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კომპონენტი.
სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ ჩამოთვლილი სწავლების მეთოდები სრულად ვერ უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მან დასძინა, რომ საჭიროა ისტ ტექნოლოგიების გამოყენება, სასწავლო პროცესში ჩართვა, რათა მომავალმა კვების სპეციალისტმა მოახდინოს თანამედროვე მეთოდებით განსაზღვრა ადამიანის კვების რაციონის და ასევე კალორაჟის გამოთვლა, რის საფუძველზეც შესაძლოა განისაზღვროს სხვადასხვა სახის კვების რაციონი.
დიაბეტის ცენტრს, წარმოდგენილი დასკვნის მიხედვით, მეორე და მესამე სტანდარტებთან მიმართებაში ხარვეზები არ ჰქონდა, არც რეკომენდაციები არ გაცემულა, შესაბამისად ეს სტანდარტები არ არის დარღვეული.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტს, რომ პროგრამასთან დაკავშირებით ჰქონდა კითხვა, კერძოდ, ყველა რეკომენდაცია, რაც დასკვნაში იყო ასახული, გასაგებია, მხოლოდ დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით ჰქონდა კითხვა, რაც ეხებოდა წინაპირობაში დარგობრივი ან სამუშაო გამოცდილების გათვალისწინებას.
საბჭოს წევრმა მარიკა ზაქარეიშვილმა განაცხადა, რომ საბჭოს ფორმატში ამ პროგრამის განხილვის მიზანშეწონილობას ვერ ხედავდა, მან აღნიშნა, რომ მისთვის გასაგებია, რომ საჭიროა დაბალანსებული კვება, თუმცა რა სპეციალისტი გამოდის ამ პროგრამიდან, გაურკვეველია, ასევე, გაუგებარია, როგორ უკავშირდება პროფესიულ განათლებას. ასეთი სახის კურსები შეიძლება იყოს, თუმცა აღნიშნული პროგრამა ნაწილობრივ კვალიფიკაციასაც კი არ აძლევს მსმენელს, უბრალოდ იმ ფორმატიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, რასაც აღნიშნული საბჭო იხილავს, მისთვის გაუგებარია, საბჭოზე რატომ უნდა იხილებოდეს, ვინაიდან ეს პროგრამა აბსოლუტურად ვერ ჯდება მომზადება/გადამზადების ჩარჩოებში, ბუნებრივია ვერ დასაბუთდებოდა პროგრამის საჭიროებაც, გაურკვეველია, ვინ მზადდება, თუ, დავუშვათ, ექიმია, რომელიც დამატებით სწავლობს, გარკვეულ ცოდნას იღებს, თუმცა იმდენი ხანი სწავლობენ ექიმები დაბალანსებულ კვებასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომ საჭიროება ამ სახის პროგრამის გაუგებარია.
დარგის ექსპერტი დაეთანხმა მარიკა ზაქარეიშვილის პოზიციას, მან განმარტა, რომ ნუტრიციოლოგის სპეციალიტი რომ გამოვიდეს, ბაკალავრსაც არა აქვს უფლება.
საბჭოს წევრი ნათია კვიციანი დაინტერესდა, ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამის სახელწოდებაა „ჯანსაღი (სწორი) კვების კურსი“, რა ტიპის სერტიფიკატი ენიჭება მსმენელს, რა კვალიფიკაციის მქონე პირი გამოვა, რადგანაც რჩება შთაბეჭდილება, რომ ეს არის ცნობიერების ამაღლებისთვის, და არა რაღაც გარკვეული სპეციალობა/კვალიფიკაცია, ან ნაწილობრივი კვალიფიკაცია ენიჭება პირს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დიაბეტის ფონდის წარმომამდგენელს და თხოვა წარმოედგინა საკუთარი კონცეფცია და არგუმენტაცია, თუ რატომ შეიმუშავა ეს პროგრამა, რატომ გადაწყვიტეს, რა იყო მიზანი და კონკრეტული არგუმენტები რომ დაეფიქსირებინა ქვესტანდარტების მიხედვით.
დიაბეტის ფონდის წარმომადგენელმა ნუნუ ბიკაშვილმა განაცხადა, რომ შეეცდებოდა მოკლედ წარმოედგინა, თუ რამ განაპირობა ამ პროგრამის განხორციელების სურვილი. მან აღნიშნა, რომ თვითონ გახლდათ ყოფილი ქირურგი, უმაღლესი კატეგორიის ანესთეზიოლოგი, თუმცა, მან შეიცვალა სპეციალობა, რაც გამოწვეული იყო იმით, თუ როგორ უმკურნალა მის შვილს ექიმმა და გადაწყვიტა ამ საქმეს მომსახურებოდა. მან დასძინა, რომ 34 წელი ჩართული იყო დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა ასოციაციაში, მსოფლიო ჯანდაცვის დიაბეტიანი ბავშვების ჯანმრთელობის მაჩვენებლებით წლების განმავლობაში საქართველო იყო ფლაგმანი. მას

უხდებოდა კონგრესებში მონაწილეობის პერიოდში დამატებით მონაცემების შეგროვება, რაც, როგორც მან აღნიშნა, არ საჭიროებდა დიდი სამეცნიერო შრომების დადებას და მითითებას.
იგი შეეხო, სიკვდილიანობის გაზრდის საკითხს და განმარტა, რომ პირველ ადგილზე დგას გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, რაც გამოიწვია არასწორმა კვებამ, ასევე, მეტაბოლურმა სინდრომმა. სწორედ აქედან გამომდინარე, ისეთი ფორმით იქნა წარმოდგენილი ეს პროგრამა, რომ აბსოლუტურად ეს უნდა ექვემდებარებოდეს ჯანდაცვის სამინისტროს პრეროგატივას. როგორც მან განაცხადა, სანამ შეიმუშავებდა აღნიშნულ პროგრამას, ცენტრში გაიარა კონსულტაცია. მან ასევე აღნიშნა, რომ დიაბეტის ცენტრი აწარმოებდა ექიმთა პროფესიული გადამზადების პროგრამას, საერთაშორისო კურსი ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ექიმთა უწყვეტი განათლების სისტემაში, მთელი საქართველოს ექიმები გადიოდნენ გადამზადებას, გარდა ამისა, 30 წელზე მეტი ხნის მანძილზე ცენტრში არის სწავლების ფორმა ასეთი სახით.
მისი აზრით, იმდენად პრობლემატურია არასწორი კვებით მომატებული დაავადებების და შესაბამისად, საზოგადოების კატასტროფული მიმართულება, მომeტებული კვების, თავისთავად დიაბეტის, იმდენად დაბალია ზოგადი ცნობიერება კვებაში, ჩათვალა, რომ უნდა გაკეთებულიყო პროგრამა ცნობიერების ამაღლებისთვის.
საბჭოს წევრი ნინო ბაბალაშვილი დაინტერესდა, თუ ვინ იქნებოდა პროგრამის კურსდამთავრებული.
მარიკა ზაქარეიშვილმა გამოთქვა მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ იდეა არ შეესაბამებოდა მომზადება/გადამზადების ფორმატს, მან დასძინა, რომ თვითონ იდეა რა თქმა უნდა არაა ცუდი, თუმცა მომზადება/გადამზადება სხვა ფორმატია.
დიაბეტის ცენტრის წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს და საბჭოს წევრებს და დასძინა, რომ მზად იყო შეეტანა ცვლილებები პროგრამაში და იქვე დასძინა, რომ, ბოლონიიის პროცესის ერთ-ერთი წამყვანი მიმართულებაა სწავლება მთელი ცხოვრების მანძილზე. ბოლონიის პროცესის 2018 წლის მაისის დადგენილებაში არის მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლება საკვანძო კომპეტენციების შესახებ, ადამიანს აქვს ხარისხიანი და ინკლუზიური განათლებისა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების უფლება, ამდენად, ცენტრთან შეთანხმებით გაკეთდა აქცენტი. წარმოდგენილ პროგრამაში არის პიროვნული განვითარების პერსპექტივები, შეიძლება პროგრამა სრულყოფილი არ არის, რაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს პროგრამა საჭირო არ არის.
დარგის ექსპერტი ბელა ყურაშვილი დაინტერესდა, ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამა არის მომზადების, გადამზადების რომ იყოს, მაშინ ექიმებს გადაამზადებდნენ, თუ არა. თუმცა სრული ზოგადი განათლების მქონე პირი, რომელსაც საერთოდ არა აქვს არავითარი ცოდნა და უნარები, როგორ შეუძლია კალორაჟი გამოითვალოს, თან აქ იკვეთება, ასევე, ინტერესთა კონფლიქტი, სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, რომელიც რეზიდენურას გადის და მერე აქვს უფლება მიიღოს ამაში მონაწილეობა, როგორ შეიძლება ეს გააკეთოს სრული ზოგადი განათლების მქონე პირმა.
დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ ნამდვილად შედგა საუბარი ამასთან დაკავშირებით ვიზიტის დროს, კარგი სპეციალისტები არიან, გასაგებია ის, რომ ცნობიერების ამაღლების კუთხით უნდა ამ პროგრამის განხორციელება, თუმცა აკრედიტაცია ცნობიერების ამაღლებას არ ჭირდება. მას შეუძლია გააკეთოს კურსი ცნობიერების ამაღლების, თუმცა ამ მიმართულებით ეს პროგრამა ვერ განხორციელდება.
დიაბეტის ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამ პროგრამის შემუშავების და განხორციელების მიზანი გახდა საზოგადოებაში ზოგადად ცნობიერების ამაღლება, მაგრამ ძირითადი მიზანია ჯანდაცვის და განათლების კომიტეტებში, იმ ნიშებში, სკოლებში, სკოლამდელ დაწესებულებებში დაიწყოს ჯანსაღი კვების პოპულარიზაცია. როდესაც ადამიანი ხდება ავად, მიდის ექიმთან, ექიმი დიეტოლოგს და ნუტრიციოლოგს, საჭიროდ თუ მიიჩნევს, რთავს მკურნალობაში. მხოლოდ გასტრიტის მსუბუქ შემთხვევაში გახლავთ კვება სამკურნალო, სხვა შემთხვევებში, ეს პროგრამა ეხება ჯანსაღ ადამიანებს, პროფილაქტიკური მიზანი აქვს, რომელმაც უნდა აამაღლოს ცნობიერება ჯანსაღ კვებაში.

ნინო ბაბალაშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს 5 კვირა საკმარისი იყო თუ არა, ვინაიდან არანაირი დაშვების წინაპირობა არაა გათვალისწინებული, რაზეც მან უპასუხა, რომ 5 კვირა საკმარისი იყო. ვინაიდან მიზანი არის მთელი საქართველოს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება.

ნანი დალაქიშვილმა მიმართა საბჭოს წევრებს, მან განაცხადა, რომ ნეიტრალური იყო ამ შემთხვევაში, მან დასძინა, რომ ის კითხვები, რაც საბჭოს სხდომაზე გაჟღერდა, კონსულტირების დროსაც გამოიკვეთა, დისკუსიებიც გაიმართა, საბოლოოდ ჯამში შეთანხმების საფუძველზე ამ სახით იქნა პროგრამა ცენტრში წარმოდგენილი, ცენტრმა პირველი ქვესტანდარტის ჩანაწერის მიხედვით იმსჯელა - პროგრამა უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმების/მეწარმეობის/პიროვნული განვითარების პერსპექტივებს, №131 დადგენილება უშვებს, რომ პროგრამა ორიენტირებული იყოს ცნობიერების ამაღლებაზე, ამას მოეჭიდა ცენტრი, როცა თანხმობა მისცა საქართველოს დიაბეტის ფონდს ამ პროგრამის შემოტანაზე, პროფესიული გადამზადება ვერ იქნებოდა, ვინაიდან ეს უკვე ჯანდაცვის პრეროგატივაა, პოსტდიპლომური განათლებაა, რაც ჩვენს პრეროგატივაში არ შედის.

საბჭოს წევრებმა მოითხოვეს სათათბიროდ გასვლა.

სათათბიროდან დაბრუნების შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დიაბეტის ცენტრის წარმომადგენელს, რომ საბჭოს წევრებმა იმსჯელეს, შეაჯერეს პოზიციები, თუ რამდენად არის შესაძლებელი ამ ფორმით აღნიშნულ პროგრამაზე უფლების მინიჭება. ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამა ცდება მომზადება/გადამზადების ფორმატის ფარგლებს, მან დასძინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მისასალმებელია თვითონ იდეა, თუმცა დაწყებული სახელწოდებიდან, გაურკვეველია, ვის ამზადებთ, დასახვეწია სწავლის შედეგები, ასევე, გონივრულად უნდა განისაზღვროს პროგრამის ხანგრძლივობა და ა. შ. სასურველია, დარგის ექსპერტის მიერ გაცემული რეკომენდაციები იქნას გათვალისწინებული და შესაბამისად, დიდი გამოცდილებიდან გამომდინარე, ასევე, იქიდან გამომდინარე, რომ საერთაშორისო აკრედიტაციაც აქვს დიაბეტის ცენტრს, სასურველი იქნება მოძიებულ იქნას უცხოეთის პრაქტიკა, ანალოგები და დახვეწილი პროგრამა წარმოადგინოთ, ისე, რომ მოექცეს მომზადება/გადამზადების ფარგლებში, მსჯელობის შემდეგ საბჭოს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ არ იქნება საკმარისი მხოლოდ დარგის ექსპერტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულება.
საბჭოს წევრმა ნათია კვიციანმა საბჭოს წევრებს და დამსწრეებს გაუზიარა საკუთარი მოსაზრება, მან აღნიშნა, რომ გასაგებია ეს არის განსხვავებული მიდგომა, დიაბეტის ცენტრი არ ამზადებს ან გადაამზადებს სამედიცინო პერსონალს, ეს, ზოგადად, მოსახლეობისთვის ცნობიერების ამაღლებას ემსახურება, მან დასძინა, რომ მისი აზრით სასურველია პროგრამის სახელწოდებაც შეიცვალოს, ვინაიდან სწორად არ არის ჩამოყალიბებული სახელწოდება, საერთაშორისო გამოცდილებას თუ გაგვიზიარებთ, ვინაიდან დიდი გამოცდილება გაქვთ, შესაბამისად, საბჭოს თხოვნა იქნება იფიქროთ ამ საკითხებზე, გაიაროთ კონსულტაცია პროფესიული უნარების სააგენტოში, რომ სწორად იქნას შემუშავებული პროგრამა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ საქართველოს დიაბეტის ფონდის „ჯანსაღი (სწორი) კვების კურსი“ /01701/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 0
წინააღმდეგი: 8

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ საქართველოს დიაბეტის ფონდს (ს/კ: 200270973) უარი ეთქვას განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ჯანსაღი (სწორი) კვების კურსი /01701/.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დასრულდა: 16:45 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბაბალაშვილი ნინო

ნ. ბაბალ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ზაქარეიშვილი მარიკა

დანართი 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01753	განათების ტექნიკოსი	პროფესიული მომზადება	მეოთხე	24	ქართული	15	ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №68

დანართი 2

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01756	ხმის ოპერატორი	პროფესიული მომზადება	მეოთხე	24	ქართული	15	ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №68

დანართი 3

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01757	სარეკლამო ფოტოგრაფია	პროფესიული მომზადება	მეოთხე	24	ქართული	15	ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №68

დანართი 4

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01755	კონტენტის შემქმნელი	პროფესიული მომზადება	მეოთხე	24	ქართული	15	ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №68